ხ ე ლ შ ე კ რ უ ლ ე ბ ი ს პ რ ო ე ქ ტ ი

ქ. თბილისი **---------, 2017წ.**

ერთის მხრივ, **შ.პ.ს. „ავერსის კლინიკა“** (შემდგომში „მყიდველი“), წარმოდგენილი მისი გენერალური დირექტორის დიმიტრი ჯორბენაძის სახით და მეორეს მხრივ, **----------“** (შემდგომში „მიმწოდებელი“), წარმოდგენილი მისი დირექტორის ---------- სახით, საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის საფუძველზე, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1. მიმწოდებელი იღებს ვალდებულებას, ყოველი კონკრეტული შეკვეთის საფუძველზე, წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული წესითა და ვადებში, მიაწოდოს მყიდველს სახარჯი მასალა/რეაქტივები (შემდგომში „საქონელი“).
1.2. საქონლის დასახელება და ღირებულება მოცემულია დანართში №1, რომელიც წარმოადგენს წინამდებარე ხელშეკრულების შემადგენელ და განუყოფელ ნაწილს.
1.3. წინამდებარე ხელშეკრულებას თან ერთვის წერილობითი შეკვეთის ფორმა - დანართი №2, რომელიც თან ერთვის მას და წარმოადგენს მის შემადგენელ ნაწილს. შეკვეთის ფორმაში მითითებულია, შესაკვეთი საქონლის დასახელება, რაოდენობა და ღირებულება
1.4 მიწოდება უნდა განხორციელდეს შემდეგ მისამართზე, ქ. თბილისი, ვაჟა-ფშაველას გამზ, №27ბ, შპს „ავერსის კლინიკა”.

2. მხარეთა უფლება-მოვალეობები

2.1. მიმწოდებელი ვალდებულია:
2.1.1. მყიდველის მიერ საქონლის მოთხოვნაზე წერილობითი შეკვეთის წარდგენის შემდგომ, მიაწოდოს მყიდველს შეკვეთილი საქონელი, მხარეთა მიერ შეთანხმებულ ვადაში.
2.1.2. საქონლის გადაცემისას, ყოველი კონკრეტული შეკვეთის შესაბამისად გამოწეროს სასაქონლო ზედნადები.
2.1.3. წინამდებარე ხელშეკრულების გაფორმებიდან 1 (ერთი) წლის განმავლობაში არ შეცვალოს ხელშეკრულების დანართით №1 გათვალისწინებული საქონლის ღირებულება. იმ შემთხვევაში თუ მიმწოდებელი დაარღვევს ამ მუხლით გათვალისწინებულ პირობას, მყიდველს უფლება აქვს შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება სრული მოცულობით, ამასთან, მყიდველს უფლება აქვს მოითხოვოს, ხოლო ამ შემთხვევაში მიმწოდებელი ვალდებული იქნება გადაიხადოს ჯარიმა მყიდველის მიერ ამ ხელშეკრულების საფუძველზე, შესყიდული საქონლის ღირებულების 50%-ის ოდენობით.
2.1.4. მყიდველს მიაწოდოს უფლებრივად და ნივთობრივად უნაკლო საქონელი. ამასთან, მიმწოდებელი პასუხს არ აგებს საქონლის ნაკლოვანებაზე, თუკი ეს გამოწვეულია მყიდველის მიერ შენახვის წესების დაუცველობით. საქონლის გადაცემის მომენტად ითვლება მყიდველისთვის საქონლის მიწოდების თარიღი, რაც დასტურდება მხარეთა შორის საქონლის მიწოდებაზე (გადაცემაზე) სასაქონლო ზედნადების გაფორმებით, რის შემდეგაც მყიდველზე გადადის საკუთრების უფლება საქონელზე.
2.1.5. წინამდებარე ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში მიმწოდებელი ვალდებულია აცნობოს მყიდველს ყველა სახის ცვლილების შესახებ, რაც დაკავშირებულია მიმწოდებლის სამართლებრივ სტატუსთან (მათ შორის ინფორმაცია მიმწოდებლის სამართლებრივი სტატუსის შეცვლის, რეკვიზიტებში ცვლილების განხორციელების და ა.შ. შესახებ) კონკრეტული ცვლილების განხორციელებამდე ან ცვლილების განხორციელებისთანავე დაუყოვნებლივ. იმ შემთხვევაში, თუ ასეთი ცვლილებების შესახებ შეუტყობინებლობის ან არადროულად შეტყობინების შედეგად მყიდველს მიადგება მატერიალური ზიანი/ზარალი, მყიდველი უფლებამოსილია მოითხოვოს, ხოლო ასეთ შემთხვევაში მიმწოდებელი ვალდებულია აუნაზღაუროს მყიდველს მიყენებული ზარალი/ზიანი სრული მოცულობით.
2.1.6. მყიდველის მიერ წინამდებარე ხელშეკრულების 2.2.2. პუნქტის შესაბამისად წარდგენილი პრეტენზიის შემთხვევაში დაუყოვნებლივ გამოასწოროს დარღვევა;
2.1.7. საქონლის მიწოდებისას სასაქონლო ზედნადებს დაურთოს ინვოისი, სადაც მითითებული იქნება საქონლის ფასები აშშ დოლარში.

2.1.8. მიმწოდებელი ვალდებულია, მოახდინოს რეაქტივების რეგისტრაცია საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული წესის შესაბამისად.

2.2. მყიდველი ვალდებულია:

2.2.1. მყიდველი ვალდებულია, გადაიხადოს მიწოდებული საქონლის საფასური ხელშეკრულებით განსაზღვრულ ვადაში.

2.2.2. მყიდველი ვალდებულია, საქონლის რაოდენობა, ვარგისიანობა, ვადიანობა და შესაბამისობის ხარისხის სერტიფიკატები შეამოწმოს ადგილზე, საქონლის მიწოდებისთანავე. აღმოჩენილი დარღვევის შემთხვევაში დაუყოვნებლივ შეატყობინოს მიმწოდებელს;

2.2.3 მყიდველი ვალდებულია, საქონლის შეკვეთა განახორციელოს მიმწოდებლის მიერ შესაბამისი რეაქტივების კანონით დადგენილი წესით რეგისტრაციის შემდეგ.

3. ანგარიშსწორების პირობები

3.1. ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების წესით, მიმწოდებლის საბანკო რეკვიზიტებზე, სასაქონლო ზედნადების გამოწერიდან 10 (ათი) საბანკო დღის ვადაში, საქონლის მიწოდების დღისათვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ოფიციალური კურსის შესაბამისად.

3.2. იმ შემთხვევაში, თუ წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისას, მიმწოდებელი ვალდებული გახდება გადაიხადოს დ.ღ.გ, მაშინ მხარეები თანხმდებიან, რომ კონკრეტული მიწოდების საფასურში შესული იქნება მიმწოდებლის მიერ სახელმწიფოს სასარგებლოდ გადასახდელი დ.ღ.გ-ც.

4. მხარეთა პასუხისმგებლობა

4.1. წინამდებარე ხელშეკრულების შეუსრულებლობისათვის ან არაჯეროვანი შესრულებისათვის მხარეები პასუხს აგებენ საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის საფუძველზე.

4.2. მყიდველის მიერ საქონლის საფასურის გადახდის ვადის დარღვევისას, მიმწოდებელს უფლება აქვს, მოითხოვოს, ხოლო ასეთ შემთხვევაში, მყიდველი ვალდებულია, გადაიხადოს პირგასამტეხლო გადასახდელი თანხის 0.3%-ის ოდენობით ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

4.3. მიმწოდებლის მიერ საქონლის მიწოდების ვადების დარღვევისას მყიდველს უფლება აქვს მოითხოვოს, ხოლო ასეთ შემთხვევაში მიმწოდებელი ვალდებულია, გადაიხადოს პირგასამტეხლო, გადასახდელი თანხის 0.3%-ის ოდენობით, ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

4.4. ნივთობრივად ან უფლებრივად ნაკლის მქონე საქონლის მიწოდების შემთხვევაში, მიმწოდებელი ვალდებულია, შეცვალოს წუნდებული საქონელი ახლით --------- კალენდარული დღის ვადაში. თუ ასეთი შეცვლა ვერ განხორციელდება, მყიდველს უფლება აქვს, მოსთხოვოს და ასეთ შემთხვევაში მიმწოდებელი ვალდებულია, აანაზღაუროს წუნდებული საქონლის ღირებულება და გადაიხადოს ჯარიმა, წუნდებული საქონლის ღირებულების 20%-ის ოდენობით.

4.5. საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს მხარეებს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან;

4.6. იმ შემთხვევაში, თუ მიმწოდებელი მყიდველის წერილობითი თანხმობის გარეშე რაიმე ფორმით შესთავაზებს მყიდველის თანამშრომელს საჩუქარს/წახალისებას, რათა თანამშრომელმა მოახდინოს წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონლის რეალიზაციის გაზრდა, წინწაწევა ან ამ საქონლის შესყიდვა, მყიდველი უფლებას იტოვებს, მოითხოვოს და ამ შემთხვევაში მიმწოდებელი ვალდებულია, გადაიხადოს ჯარიმა ხელშეკრულების სრული ღირებულების 50%-ის ოდენობით, მაგრამ არანაკლებ 10 000 ლარი.

4.7. იმ შემთხვევაში, თუ მიწოდებული საქონელი აღმოჩნდება უხარისხო და ამით ზიანი/ზარალი მიადგება მყიდველს ან/და მყიდველის პაციენტს ან/და მესამე პირებს მყიდველს უფლება აქვს, მოსთხოვოს და ასეთ შემთხვევაში მიმწოდებელი ვალდებულია, აანაზღაუროს დამკვეთის წინაშე უხარისხო საქონლით მიყენებული ზიანი/ზარალი სრული ოდენობით. ამ შემთხვევაში საქონლის მიწოდებამდე წუნდება დადასტურებული უნდა იყოს შესაბამისი დასკვნით.

4.8. წინამდებარე ხელშეკრულებაზე ხელმოწერით მიმწოდებელი ადასტურებს, რომ ის არ წარმოადგენს საქართველოს საგადასახადო კოდექსის შესაბამისად, შეღავათიანი დაბეგვრის მქონე ქვეყანაში, ოფშორში რეგისტრირებულ პირს, საშემოსავლო გადასახადისაგან/მოგების გადასახადისაგან განთავისუფლებულ პირს (გარდა საბიუჯეტო ორგანიზაციისა), მიკრო ბიზნესის სტატუსის მატარებელ პირს, ფიქსირებული გადასახადის გადამხდელის სტატუსის მქონე პირს, თავისუფალ ინდუსტრიულ ზონაში რეგისტრირებული პირს ან/და სპეციალური სავაჭრო კომპანიის სტატუსის მქონე პირს.

მიმწოდებელი ადასტურებს, რომ აღნიშნული ინფორმაცია უტყუარია. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების მოქმედების ვადაში აღმოჩნდება, რომ შემსრულებელი ზემოაღნიშნული რომელიმე სტატუსის მქონე პირია ან გახდება, რის გამოც მყიდველს მიადგება მატერიალური ზიანი/ზარალი (მათ შორის საგადასახადო ჯარიმის/სანქციის დაკისრება, გადახდილი თანხის ხარჯებიდან ამოღება და ა.შ.), მიმწოდებელი იღებს ვალდებულებას აანაზღაუროს აღნიშნული ზიანი/ზარალი სრული მოცულობით მყიდველის წერილობითი მოთხოვნიდან 5 (ხუთი) დღის ვადაში.

5. ხელშეკრულების ვადა

5.1. ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ მისი ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 1 (ერთი) წლის ვადით.

6. საქონლის ხარისხი

6.1. საქონლის ხარისხი განისაზღვრება მწარმოებლის ხარისხის სერთიფიკატის მიხედვით, რომლის წარმოდგენის ვალდებულებაც ეკისრება მიმწოდებელს.
6.2. მიმწოდებელი ადასტურებს, რომ მიწოდებული საქონელი მთლიანად და სრულად შეესაბამება მწარმოებლის ხარისხის სერტიფიკატს, რაზედაც პასუხისმგებელია საქონლის ვარგისიანობის ვადის ბოლომდე. აღნიშნული პასუხისმგებლობა არ ვრცელდება იმ შემთხვევებზე, როდესაც საქონლის დეფექტურობა გამოწვეულია შენახვის პირობების დარღვევით, არამიზნობრივი (არადანიშნულებით) გამოყენებით და სხვა.
6.3. ვარგისიანობის ვადის ბოლომდე საქონლის დეფექტურობის აღმოჩენის შემთხვევაში, მყიდველი ვალდებულია დაუყოვნებლივ აცნობოს მიმწოდებელს და გადასცეს მას დეფექტური საქონლის ნიმუშები გამოსაკვლევად.
6.4. მყიდველის მხრიდან დასაბუთებული პრეტენზიის წარმოდგენიდან 30 (ოცდაათი) დღის ვადაში მიმწოდებელი ვალდებულია აუნაზღაუროს მყიდველს დეფექტური საქონლის სრული ღირებულება.

7. ფორს-მაჟორი

7.1. არც ერთ მხარეს არ დაეკისრება პასუხისმგებლობა ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების მთლიანი ან ნაწილობრივი დარღვევისათვის, თუ აღნიშნული დარღვევა გამოწვეული იქნება ისეთი გარემოებების გამო, როგორიცაა: მიწისძვრა, წყალდიდობა, ხანძარი, სტიქიური უბედურებანი, ომი და საომარი მოქმედებანი, ხელისუფლების მიერ მიღებული ამკრძალავი ნორმები და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა შემთხვევები.
7.2. მხარე, რომელისთვისაც 7.1 მუხლით განმარტებული გარემოებების გამო შეუძლებელი შეიქმნა დაკისრებული ვალდებულებების შესრულება, ვალდებულია მისი დადგომის და დამთავრების მომენტიდან არაუგვიანეს 5 დღისა წერილობით აცნობოს აღნიშნულის შესახებ მეორე მხარეს.
7.3. მხარეების მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულება გადაიდება ფორს–მაჟორული გარემოებების ლიკვიდაციამდე.

8. ხელშეკრულების შეწყვეტა

8.1. ხელშეკრულება შეიძლება შეწყდეს ერთ-ერთი მხარის მიერ წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არაჯეროვანი შესრულების შემთხვევაში, თუ მეორე მხარის მიერ წერილობითი გაფრთხილების მიუხედავად არ აღმოფხვრის დარღვევას.
8.2. წინამდებარე ხელშეკრულების შეწყვეტა შესაძლებელია:
8.2.1. მხარეთა ორმხრივი წერილობითი შეთანხმებით;
8.2.2. მხარის ლიკვიდაციის შემთხვევაში;
8.3. ხელშეკრულება შეიძლება შეწყდეს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში.

9. დასკვნითი დებულებანი

9.1. ხელშეკრულებაში ყველა ცვლილება ან/და დამატება ხორციელდება მხარეთა შორის წერილობითი შეთანხმების შედეგად, რაზეც ხელს უნდა აწერდნენ მხარეთა სრულუფლებიანი

წარმომადგენლები, ძალაშია მხარეთა ხელმოწერისთანავე და წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

9.2. არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე თავისი უფლება-მოვალეობანი გადასცეს მესამე პირს.

9.3. ყველა დავა, წარმოშობილი წინამდებარე ხელშეკრულებიდან წყდება მოლაპარაკების გზით.

9.4. მოლაპარაკების მიუღწევლობისას დავა განსახილველად გადაეცემა საქართველოს სასამართლოს, საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

9.5. „მხარეები“ ადასტურებენ, რომ ხელშეკრულების შინაარსი ზუსტად გამოხატავს „მხარეთა“ ნებას და რომ მათ მიერ ნების გამოვლენა მოხდა “ხელშეკრულების” შინაარსის გონივრული განსჯის შედეგად და არა მარტოოდენ სიტყვა-სიტყვითი მნიშვნელობიდან.

9.6. წინამდებარე ხელშეკრულების დანართ(ებ)ი წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს და მოქმედებს მასთან ერთად.

9.7. „ხელშეკრულების“ რომელიმე მუხლის, პუნქტის ან/და ქვეპუნქტის ბათილობა არ გამოიწვევს მთლიანად „ხელშეკრულების“ ან/და მისი სხვა ცალკეული მუხლის, პუნქტის ან/და ქვეპუნქტის ბათილობას. ბათილი დებულების ნაცვლად, გამოიყენება იმგვარი დებულება, რომლითაც უფრო ადვილად მიიღწევა “ხელშეკრულებით” (მათ შორის ბათილი დებულებით) გათვალისწინებული მიზანი.

9.8. მიმწოდებელი ადასტურებს, რომ მას ჩაბარდა ხელშეკრულება მისი დანართებითურთ.

9.9 მიმწოდებელი აცხადებს, რომ მის მიერ წარმოდგენილი მონაცემები, მათ შორის მისი რეკვიზიტები, სწორია.

9.10. მხარეები თანხმდებიან, რომ მყიდველის სასარგებლოდ მიღებული პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება მისი გასაჩივრების მიუხედავად, დაუყოვნებლივ მიექცევა აღსასრულებლად, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 268-ე მუხლის მე–1[1] პუნქტის შესაბამისად.

9.11. ყველა იმ შემთხვევაში, რაც პირდაპირ არ არის გათვალისწინებული წინამდებარე ხელშეკრულებით, მხარეები ხელმძღვანელობენ საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით.

9.12. წინამდებარე ხელშეკრულება შედგენილია 2 (ორი) თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად. მხარეებისათვის თითო ეგზემპლარი.

10. მხარეთა რეკვიზიტები

შ ე კ ვ ე თ ი ს ფ ო რ მ ა

№	საქონლის დასახელება	საქონლის რაოდენობა	საქონლის ღირებულება (ერთეული)	საქონლის ღირებულება (საერთო)

შეკვეთის თარიღი: ---------- 2017 წელი

მოწოდების ვადა: ---------- 2017 წელი

მყიდველი:

შპს „ავერსის კლინიკა“

ხელმოწერა ----------

ბეჭედი ----------